სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის 2021 წლის 16 იანვრის სხდომის გადაწყვეტილება №6

პანდემიური ვითარების პირობებში არსებული შეზღუდვების, რაც შეეხო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობასაც და თსკ-ს საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით ერთნაირი ფორმატით შეფასების აუცილებლობის გათვალისწინებით, სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მოქმედი წესდების მე-20 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის, სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-3 და მე-15 პუნქტების, ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 16 იანვრის სხდომაზე გამოთქმული პოზიციების შეჯერები და საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვეტა:

1. თსკ-ს საშემსრულებლო ფაკულტეტის საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამებზე 2020-2021 სასწვ ლო წლის საგაზაფხულო სემესტრში დაშვების წინაპირობაში ერთჯერადად შევიდეს ცვლილება და გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს ონლაინ, ზეპირი ფორმატით, მოიხსნას საგამოცდო წერითი კომპონენტი.

2. ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს.

საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე **თ. ბუაძე**

საშემსრულებლო საბჭოს მდივანი **ა. რევიშვილი**